ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N49

28.02.2025 წელი **ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2**
12:30 საათი **ოთახი 3-01**

მიმდინარე წლის 28 თებერვალს 12:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამი ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი) და **ანა კილაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა,** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 3 (სამი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032505569-03, 24.02.2025წ.).*
   მომხსენებელი - **ლევან მიქავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

ლევან მიქავა - მოგესალმებით, მოგახსენებთ ინფორმაციას ბიუჯეტის პროექტის ცვლილებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 2 685,7 ათასი ლარით,

აქედან 600,0 ათასი ლარი გახლავთ მიზნობრივი ტრანსფერი, რომელიც გამოიყო ცენტრალური ბიუჯეტიდან შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურებასთან დაკავშირებით, აღნიშნულიდან გამომდინარე ბიუჯეტს დაემატა ახლი ქვეპროგრამა ,, პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა". დანარჩენი 2 085,7 ათასი ლარი კი გახლავთ გასული წლიდან გადმოყოლილი ნაშთი, რომელსაც ბიუჯეტში ავსახავთ აუცილებელი ღონისძიებებით. მათ შორის კრწანის რაიონში აფეთქების შედეგად ავარიული შენობის გამაგრების სამუშაოებისთვის გამოიყოფა 880,0 ათასი ლარი, 100 წელს მიღწეული პირების დაფინანსებას ემატება 567,0 ათასი ლარი, საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამას ვამატებთ 600,0 ათას ლარს, რომელიც მოხმარდება უსახლკაროთა თავშესაფრის სარემონტო სამუშაოებს. სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელშეწყობას ვამატებთ ორი შტატგარეშე პირის ანაზღაურების თანხას 38,0 ათას ლარს, ხოლო მთაწმინდის რაიონიდან 30,0 ათასი ლარი გადადის ერთი პროგრამიდან მეორეში, ასევე ინფრასტრუქტურის სამსახურის საინჟინრო პროგრამიდან საპროექტო პროგრამაში გადადის 100,0 ათასი ლარი. ერთი შტატის დაზუსტება ხდება სანდრო მრევლიშვილის სახელობის თეატრში, ბიუჯეტში თანხა გათვალისწინებული იყო, უბრალოდ შტატების რიცხოვნობის დაზუსტება ხდება ცვლილებაში.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ანა კილაძე - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა -(0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე